ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმი „-----“ ---------- 2018 წელი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის შესაბამისად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქობულეთი, დაბა ჩაქვში მდებარე 7340,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.48.06.681);

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემა მოხდეს:

ა) პოზიტიური პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი) - უნდა მოხდეს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთის ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა სასაფლაოს გაფართოების მიზნით.

ბ) გადადების პირობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 96-ე მუხლი) - უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრების უფლება შეუწყდება, თუ არ მოხდება მიწის ნაკვეთის ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა სასაფლაოს გაფართოების მიზნით.

სხვა შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება უბრუნდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს, რომელიც დამოუკიდებლად წყვეტს უძრავი ქონების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგვის საკითხს.

3. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (ჯ. ფუტკარაძე) უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და გადაცემული უძრავი ქონების მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გატარება.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

„ დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა “
თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის
საკრებულოს განკარგულება
2010 წლის 29 ოქტომბერი №129

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს #1306/02 (N29101/25) წერილით მომართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დასმული იქნა საკითხი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთში, დაბა ჩაქვში მდებარე 7340 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 20.48.06.681) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის მიზნით, სადაც ამჟამად მოწყობილია სასაფლაოები და საჭიროებს შემდგომ გაფართოებას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთში, დაბა ჩაქვში მდებარე 7340 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის მიზნით და ითხოვა შემდგომი განკარგვის მიზნით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქობულეთში, დაბა ჩაქვში მდებარე 7340 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.48.06.681) .

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ასევე მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოთაღნიშნული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას, შემდგომში მისი ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადასაცემად სასაფლაოს გაფართოების მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია ქობულეთის მუნიციპალიტეტში მოწყობილი სასაფლაოს გაფართოების საკითხში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის ხელშეწყობა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
CHAIRMAN OF GOVERNMENT

№1306/02

"17" 10 2018

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლაშა კომახიძეს

ბატონო ლაშა,

გაცნობებთ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დასმული იქნა საკითხი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთში, დაბა ჩაქვში მდებარე 7340 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 20.48.06.681) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის შესახებ. შემდგომში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის მიზნით, სადაც ამჟამად მოწყობილია სასაფლაოები და საჭიროებს შემდგომ გაფართოებას.

ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთში, დაბა ჩაქვში მდებარე 7340 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გადმოეცეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში შემდგომში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გთხოვთ, შემდგომი განკარგვის მიზნით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოსცეთ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქობულეთში, დაბა ჩაქვში მდებარე 7340 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.48.06.681).

დანართი: „ 5 " ფურცელზე.

პატივისცემით,
თორნიკე რიჟვაძე

6010 ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიის 10
ტელ.: (422) 272070
administration@ajara.gov.ge

6010 Batumi, Georgia, 10, Gamsakhurdia str.
Phone: +995 (422) 272070
administration@ajara.gov.ge

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

..6200 ქალაქი ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141 ტელ: 0426-26-72-09
Email: Kobuletimunicipality@gmail.com

N 01/9091
25/09/2018

9091-01-2-201809251609

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარეს ბატონ თორნიკე რიჟვაძეს

ბატონო თორნიკე,

გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულია დაბა ჩაქვში მდებარე 7340,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ N20.48.06.681).

დღეის მდგომარეობით აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე დაბა ჩაქვის ციტრუსების მეურნეობისა და სოფელ ჩაისუბნის მცხოვრებლებს რამდენიმე წელია მოწყობილი აქვთ საგვარეულო სასაფლაო.

გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია მიწის ნაკვეთი, სადაც ამჟამად მოწყობილია სასაფლაოები შემდგომი გაფართოების პირობით, გადმოეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში.

გთხოვთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში მიიღოთ დაბა ჩაქვში მდებარე 7340,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ N20.48.06.681), შემდგომში ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი.

მირიან ქათამაძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
აპარატის საქმისწარმოების დეპარტამენტი
2475/01
25 09 18
შემავალი / გასავალი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY

N 25/16897
14/09/2018

16897-25-2-201809141451

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ მირიან ქათამაძეს
ქ. ქობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზირი #141

ბატონო მირიან,

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხილული იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 20 მარტის #01/2985 (#10155/25) წერილი, რომელიც ეხება სასაფლაოების გაფართოების მიზნით, ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქობულეთი, დაბა ჩაქვში მდებარე 177073.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.48.06.039) ნაწილის, კერძოდ. 7340.00 კვ.მ. ფართობი მიწის ნაკვეთის ქობულეთის მუნიციპალიტეტზე საკუთრებაში გადაცემის.

გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთი, დაბა ჩაქვში მდებარე 177073.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 20.48.06.039) დაყოფა და 7340.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 20.48.06.681) ცალკე საკადასტრო ერთეულად რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

ამასთან გაცნობებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 108-ე მუხლის (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფოსათვის ან/და ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა) პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დასაბუთებული მოსთხოვნა ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია საკითხს განსახილველად წარუდგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

დანართი: „03" ფურცელი.

პატივისცემით,

ლევან კოპაძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

8750/01
17 09 8
4 3

6000, ბათუმი, აღმაშენებლის ქ. N25, ტელ: (0 422) 27 26 26, ფაქსი: (0 422) 27 26 01
6000, N25, Luka Asatiani st., Tel: +995 (422) 27 26 26, Fax: +995 (422) 27 26 01, E-mail: info@batumi.ge

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 892018771176 - 04/09/2018 15:53:10	06/09/2018 15:43:59

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ქობულეთი	დ/ჩაქვი		
20	48	06	681

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 7340.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **20.48.06.039;**

მისამართი: ქობულეთი , დაბა ჩაქვი

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882014012596 , თარიღი 13/01/2014 15:41:41
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 17/01/2014

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მიმართვა N25-04/3996 , დამოწმების თარიღი:27/12/2013 , თვითმმართველი ქ.ბათუმის საკრებულოს თავჯდომარე
- გადაწყვეტილება N190904 , დამოწმების თარიღი:29/05/2017 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ბრძანება N316 , დამოწმების თარიღი:19/12/2013 , აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

მესაკუთრეები:
სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი:245576826

მესაკუთრე:	აღწერა:
სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგნიტალური აქციის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სარეალიზაციო მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდის ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარადგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნულ ვალდებულებას შეასრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს ჯარიმისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დეკლარაციის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge.
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერი გაქვს ერთ-ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუკავშირდით 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელია მზრუნველ უკანონო ქმედების შემთხვევაში დაუკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგწეროთ ელ-ფოსტაზე: info@napr.gov.ge

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი:	**20.48.06.681**	ნაკვეთის დანიშნულება:	**არასასოფლო სამეურნეო**
განცხადების ნომერი:	**892018771176**	ფართობი:	**7340 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)** **7337 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 37N)**
მომზადების თარიღი:	**06/09/2018**		



კოორდინატთა სისტემა: WGS 84 / UTM zone 37N

მასშტაბი 1:800

05/25	ძმენებარე ნაგებობა	05/25	მუსობა/ნაგებობა		ტყის ფონდი
	ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი		ხაზობრივი ნაგებობა		ეალდებულება